სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/13

(ოქმი N8)

ქ. ბათუმი

14 ივლისი 2016 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' და ,,კ'' ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-121 მუხლების (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX) თანახმად:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რადგანაც ინდივიდუალურ-ადიმინსტრაციული აქტი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით;

2. წინამდებარე გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge).

3. ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ) განთავსდეს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge).

4. გადაწყვეტილება ძალაშია 2016 წლის 14 ივლისიდან.

დანართი:

1. ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ).

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზაზა ხალვაში

დანართი 1

ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

(ცნობა საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ)

ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისმართი - სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო'' (მის: ქ. ბათუმი მ. აბაშიძის ქ. N41).

ადმინისტრაციული ორგანო, სადაც შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა - სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო'' (მის: ქ. ბათუმი მ. აბაშიძის ქ. N41).

- სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს მიერ 2016 წლის 14 ივლისს N01-01/13 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშრებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' და ,,კ''ქვეპუნქტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-121 მუხლები (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX)

საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა - ყველას აქვს უფლება, წარმოადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 2016 წლის 14 ივლისიდან 20 დღის განმავლობაში როგორც წერილობით ასევე ელექტრონული ფორმით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა - 2016 წლის 10 აგვისტო.

დაინტერესებული პირი საკუთარი მოსაზრების წარდგენისას უფლებამოსილია არ მიუთითოს თავისი ვინაობა. მოსაზრება შესაძლებელია ასევე მოწოდებული იქნას შემდეგ ელექტრონული მისამართის მეშვეობით: mrcheveltasabcho@mail.com